წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

შაბათი 20 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ორჯერ ერთი ფასით.
დვა თითოეჯერ არა უმეტეს სამ...

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5 8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 33 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 33

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

---

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 18 მაისიდან გრანდიოზული მსოფლიო სურათი.

## გრენადის ვარდი

დრამა 6 ნაწ. ცნობილ ულამაზეს ქალის ლინა კავალიერის მონაწ. რადგანაც ამ სურათის დამზადებაზე დიდი ხარჯებია გაწეული, ადგილების **ფასები მომატებულია.**

**ანონსი:** ორშაბათიდან, 22 მაისიდან **მკვდრეთით აღმსდგარი დონ-ჟუანი.** დრამა 5 ნაწ. პროლოგით ვ. პოლონსკისა და სხვათა მონაწ. 1. სიყვარულის ახლო; 2. გზა გულისაკენ; 3. ქალი დამარცხდა; 4. ყველას წინააღმდეგ; 5. დიდებულ გრძნობის სამსხვერპლო.

**ყურადღება!** ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრისგანყოფილება!

---

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

18 მაისს საგულისხმიერო პროგრამა

ხუთშაბათიდან, 18 მაისიდან პირველად კინემატოგრაფის მსახიობთა ასეთი ანსამბლი! ვ. პოლონსკი, ვ. მაქსიმოვი და ვ. ხოლოდნაია. საზოგადოების 3 საყვარელი მსახიობი!

## ბუხართან.

დრამა 6 ნაწილათ ცნობილ რომანსზე: „მარტოკა სდგეხარ და ნაღვლიანად შორს იყურები“-ზე აგებული. რადგანაც ამ სურათის დამზადებაში დიდი ხარჯებია გაწეული, **ფასები მომატებულია.**

**ანონსი:** ორშაბათიდან, 22 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდებული სურათი

## შავი ყორნები.

კინო დრამა 5 ნაწილ. ძველი რეჟიმის დროს მწერალი ვ. პროტოპოპოვის აკრძალულ პიესის მიხედვით. ამ სურათში გამოყვანილია შავი, ბრბო, რომელიც სარწმუნოების სახელით ურცხვად ატყუებს ხალხს.

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

---

## სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჟიმოვების.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



შაბათს, 20 მაისს გაიმართება დიდი საქველმოქმედო წარმოდგენა

ომში დაღუპულ — მეომართა

**და მათ ოჯახთა დამხმარე საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სასარგებლოთ.**

მონაწილეობას ღებულობს ცირკის საუკეთესო ძალები. გასტროლები გამოჩენილ ბელგიელთა დასისა

5 კლიკეტი

**ლიუხის** და აღმოსავლეთის მსახიობის **ჩიფუსი.**

კავკასიური ჭიდაობის უკანასკნელი დღეები. დღეს იჭიდავებს

1 ნოზაძე და გეთელი

2 ბექანიშვილი და ზაბუნაშვილი.

დასაწყისი საღამოს 9 ნახევარ საათზე.

**ანონსი:** ამ დღეებში დაიწყება ქალთა ფრანგული ჭიდაობა.

---

ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება

## „კოოპერაცია-ს“

წლიური საზოგადო კრება დანიშნულია **ქალაქის თეატრში** კვირას 21 მაისს დილის 10 საათზე.

**განსახილველი საგნები:**

1. გამგეობის მოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. ანგარიშების დამტკიცება.
4. მოგების განაწილება.
5. 1916 წლის ხარჯთაღრიცხვა.
6. გამგეობის არჩევა.
7. მიმდინარე კითხვები.

გამგეობა უმორჩილესათ სთხოვს წევრებს, რადგან დღეს ისეთი დიადი ხანაა, რომ ყოველივე საათის დაყოვნება ან გაცდენა დანაშაულია და საქმისადმი საზიანო, აუცილებლათ დაესწროთ კრებას.

# დღეს:

**წერილები:**
ქალაქის ახალი არჩევნების გამო.
ია ეკალაძე—ჩვენი გლეხობა და ჩვენი პარტიები.
დ. თომაშვილი—კიდევ „ალიონს“.
Ser—საპატიო ზავი.
მ. ქუთათელი—მშობელთა წრე.
ქართული და თურქთა პრესა.
**ცნობები:**
რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ეროვნული კითხვა. სანიტარული კომისიის საყურადღებოთ. იმერეთის სამღვდელოების კრება. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

---

## მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადასჭრის შემდეგ საკითხს.

### რიცხვის მცნება

შეიძლება თუ არა განისაზღვროს?
(Определимо или неопределимо понятіе: число?)

თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცადინეობის მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა ავტორმა უნდა დაამტკიცოს.

ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში“ პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია მოიწვევს სპეციალისტებს. **რედაქცია**

---

## ქალაქის ახალი არჩევნების გამო.

ასრულდა ის, რასაც დიდი ხნიდან ვნატრობდით. დღეს თუ ხვალ განხორციელდება არჩევნებში სრული დემოკრატიული პრინციპი.

ახალი კანონის ძალით ქალაქის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს მცხოვრებთა მთელი შემადგენლობა, აღარც ქონებითი ცენზი. აღარც ეროვნება, აღარც სარწმუნოება, აღარც სქესი, აღარც წოდება აღარავის შეუზღუდავს უფლებას. ყოველი სრულ წლოვანი მოქალაქე, როგორც მკვიდრი მცხოვრები ქალაქისა, ისე დროებით ქალაქში მყოფი, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. თვით პრინციპი არჩევნებისა სიმპატიურია. ახლა მხოლოდ იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს პრინციპი თეორიული სფეროდან ნამდვილი ცხოვრების ფარგლებში გადატანილი გამოდგეს.

ქალაქის ცხოვრების მოწესრიგება და მისი ყოველ მხრივი წარმატება ყოველი შეგნებული მოქალაქისთვის უპირველესი მიზანი უნდა იყოს. ყოველი მოქალაქე, რა მიმართულებისა და რწმენისაც უნდა იყოს იგი, მოვალეა ქალაქის წარმატების საქმეს ემსახუროს და თავისი მხრით, როგორც კი მოუხერხდება, საერთო მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს. დღემდი ბევრი თავს მით იმართლებდა, რომ არც ხმოსანი ვარ და არც ხმოსნის გამორჩევის უფლება მაქვსო. ასეთ თავის მართლებას დღეს ბოლო მოეღო. დღეს ახალი წესის მიხედვით საყოველთაო არჩევნები მყარდება. თუ არჩევნები **საყოველთაოა,** არ უნდა დაივიწყოს მოქალაქემ, რომ მოვალეობაც და პასუხისგებაც **საყოველთაოა.**

მოქალაქე თუ ამ ჭეშმარიტებას შეიგნებს, თავის თავად ცხადია, მ ნ ხმოსნათ ისეთი ადამიანი უნდა აირჩიოს, რომელსაც სავსებით ენდობა და რომელსაც უნარი ექნება აასრულოს ის, რაც მას ეკისრება. აი ამ თვალსაზრისით უნდა იყოს გამსჭვალული ყოველი ახალი უფლებით აღჭურვილი მოქალაქე. რამდენათაც ეს შეგნება აქვს ამომრჩეველთა წრეს იმდენათ სწორი და სამართლიანი იქნება ახალი არჩევნები.

სასურველია ყოველმა მოქალაქემ კარგად გაითვალისწინოს ქუთაისის დღევანდელი მდგომარეობა და თავისი ახლად მიღებული უფლების ხმარება იმას შეუფარდოს.

---

## ქართული პრესა.

გაზ. „საქართველოში“ პროფესორი ალ. ცაგარლის წერილი არის მოთავსებული საქართველოსა და რუსეთის დამოკიდებულებათა შესახებ. მოგვყავს რამოდენიმე საყურადღებო ადგილი ამ წერილიდან.

„საქართველოს პოლიტიკური არსებობის ფორმის და მართვა-გამგეობის კითხვა, როგორც ჩვენი შინაური საქმე, უნდა გადასწყდეს თვით საქართველოშივე ჩვენს საკანონმდებლო კრებაზე.

როგორც ჩვენი ავტოკეფალიის კითხვა რუსეთში ვერ გადასწყდა, ისე ჩვენი ავტონომიის აღდგენა და მართვა-გამგეობის ფორმა რუსეთში ვერ გადასწყდება—ეს რადაც მოწყალების ბოძება იქნება, როდესაც ჩვენი უფლების კანონიერი თამასუქი ხელთა გვაქვს. ჩვენვე საქართველოში უნდა დავადგინოთ ჩვენი პოლიტიკური და იურიდიული უფლებათა აღდგენა, როგორც ეს მოხდა ავტოკეფალიის აღდგენაში და ახალი რუსეთის მთავრობა დაეთანხმა. რუსეთის საკანონმდებლო კრება ვერ გადასწყვეტს, ძალიანაც რომ უნდოდეს, რაგვარი მართვა-გამგეობა და მთავრობა გვეწყობა ჩვენ, ქართველებს და პირდაპირ ვთქვათ, რომ თუ ჩვენი მთელი ხალხის დაუკითხავად გამოგვიცხადა: ქართველებმა უნდა შეადგინოთ, გუბერნიების მაგიერ, ერთი ან ორი რუსეთის რესპუბლიკის „დეპარტამენტიო,“ ეს სწორედ ისეთივე ბრძანება იქნება. როგორიც სულით ავადმყოფმა პავლემ გამოსცა: მე მინდა საქართველო გუბერნია იყოსო! რასაკვირველია, ახლანდელი რუსეთი ასეთ პავლე-ნერონულ საქმეს არ ჩაიდენს“...

შემდეგ პატივცემული პროფესორი ასე ათავებს თავის წერილს:

დრო გონზე მოვიდეთ, რომ სამშვილიშვილო ხიდსა ავცდეთ და ჩვენი ათას წლობით აგებული, ნაშენი და შენახული ქვეყანა, ჩვენივე ხელით არ დავაქციოთ.

გაზ. „ერთობის“ პრესაში ასეთი დახასიათება არის ფედერალისტებისა:

„ამ ჟილაჯო პარტიას თავის საკუთარი არც პროგრამა მოეპოვება, არც ტაქტიკა.

პირველს იგი რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან სესხულობს, მეორე ზოგს ჩვენგან, ზოგს ბოლშევიკებიდან და ასე შეზავებული შლესილი სახით წარმოსდგარი ყოყოჩობს, დახეთ რა რევოლუციონერი ვართ.

ფრონტის სიუზდზე რუსეთის გლეხთა წარმომადგენლებმა თავის ძველი თემური წყობილება არჩიეს ცხოვრების ახალ ფორმების შემოღებას, რასაც თავის გასამართლებელი საბუთი აქვს რუსეთის გლეხობის ჩამორჩენილ ეკონომიურ ცხოვრების პირობებში.

ჩვენი ფედერალისტები კი შემოვარდნენ ჯოხებში და გაიძახიან ჩვენც „სოციალიზაცია“ გვიწერია პროგრამაშიო.

ასე წათამამებულნი პირ აქეთ გვესხმიან თავს და ჩვენ აგრარულ პროგრამას ე. ი. მიწის მუნიციპალიზაციას, თვითმართველობების ხელში გადაცემას აკრიტიკებენ.“

გაზეთის აზრით სრულიად შეუფერებელია საქართველოსათვის როგორც განსაკუთრებულ პირობებში მყოფ მხარისათვის, იმგვარადვე მიწის კითხვის გადაწყვეტა, როგორც რუსეთში. ამის გამო სწერს გაზეთი:

„ჩვენ ვიცავთ დეცენტრალიზაციას იქ და იმდენათ, რამდენათაც ამას ხალხის, მშრომელი მასსის ინტერესები მოითხოვს. ჩვენ ვებრძვით დეცენტრალიზაციას იქ და იმდენათ, რამდენათაც იგი მხოლოდ გაბატონებულ კლასების ინტერესებს ემსახურება.

აი ამიტომ ვიცავთ ჩვენ აგრარულ საკითხში დეცენტრალისტურ პრინციპს—მუნიციპალიზაციას“.

---

## თურქთა პრესა.

გაზ. „ახიგ სოზი“ სწერს: „სხვა და სხვა მოდგმის ხალხით აჭრელებულ რუსეთისთვის, თუკი იგი სამართლიანობის პრინციპს დაიცავს, მიუცილებელია არჩევნებში პროპორციალ დებულების აღიარება, ეს თავდები იქნება სხვა ეროვნებათა სახელმწიფოსადმი კეთილი განწყობილებისა, რასაც თვით სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს. ჩვენ უნდა მოგვენიჭოს თანასწორ არჩევანის უფლებანი და აგრეთვე ჩვენმა ქალებმაც უნდა მიიღონ ხმა არჩევნებში. მაჰმადიანობა ყველა ეროვნებაზე დამცირებული იყო, მის შესახებ ბუნდოვან წარმოდგენის, მის მიმართ ბნელი ტენდენციის მეტი არაფერი არსებობდა მაგრამ ეს შავბედითი დრო, რევოლუციის ქარტეხილმა დაასამარა და დღეს ღრმად გვწამს, რომ რუსეთის დროებითი მთავრობა ყურადღებით მოეპყრობა ჩვენს ეროვნულ საჭიროებათ და მოგვანიჭებს ადამიანურ უფლებებს, ურომლისოდ არც ერთ ერს არ შეუძლიან შემოქმედებით გზაზე დადგომა.

ამის შემდეგ გაზეთი ეხება ქალთა უფლებრივ გათანასწორების კითხვას და ამბობს:

„დღეს ჩვენ უნდა სამუდამოდ უკუვაგდოთ ფანატიკური მოსაზრება ქალთა კითხვაში და ეროვნულ შემოქმედების ფერხულში ქალებიც ჩავრიოთ. ეს დღევანდელი ჩვენი მდგომარეობისთვის მიუცილებელია, რადგან ჩვენ ყველაზე უკან ჩამორჩენილები ვართ და ამიტომ გვეჭირვება ყველამ გაორკეცებულ ძვიმუშაოთ. ქალებს არას დაუშლის, რომ მათ ეროვნულ საქმიანობაში მონაწილეობა მიიღონ და აგრეთვე ამით არც შარიატის წესი შეილახება, რადგან ქალები თავის მოქმედებით ხელს შეუწყობენ მაჰმადიან ეროვნების ყოველ მხრივ კეთილდღეობას“.

---

## საპატიო ზავი.

კოალიციური მმართველობა უანექსიო, უკონტრიბუციო და ხალხთა თავისუფალ თვითგამორკვევაზე დამყარებულ საპატიო ზავს აღიარებს. ასეთი ზავის ჩამოგდება მარტო რუსეთზე არ არის დამოკიდებული.. აწინდელ მსოფლიო ომში მონაწილეობს 7 ძლიერი სახელმწიფო და 5 პატარა ერი. საერთო საპატიო ზავისთვის აუცილებლად საჭიროა ჩამოთვლილ სახელმწიფოთა ერთნაირი თანხმობა. დიპლომატიის საიდუმლოებას წარმოადგენს, თუ რა იყო მთავარი მიზანი ამ ომში მეომარ სახელმწიფოთა და რას ისახავენ იგინი დღეს თავის მოთხოვნილების მაქსიმუმად, თუ მინიმუმად. რუსეთში სამართლიანად მოითხოვენ „ხელშეკრულებათა საიდუმლოების გამომჟღავნება“,

მაგრამ ამას ლიბერალი წრეები წინ აღუდგენ. ამას შესაძლოა. ცუდი შედეგი მოუყვეს და მშრომელმა მასსამ ბოლომდის მიუყვანლად დაჰგმოს მისთვის საიდუმლოებით მოცული ომი. სატახტო გაზეთები ოპტიმისტურად მსჯელობენ და აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი ალბერტ ტომა სავსებით იზიარებს რუსეთის მუშათა საბჭოს თვალთახედვას ომის კითხვაში. „ბირჟ. ვედ.“-ს საკუთარი კორესპონდენტი აუწყებს: „ინგლისმა უარყო წინანდელი დაპყრობითი პოლიტიკა და ახლა უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის მომხრეაო. თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ საპატიო ზავის განხორციელება საეჭვო აღარ უნდა იყოს. მაგრამ კითხვა უფრო ღრმა დაკვირვებას მოითხოვს. რუსეთში უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი მხოლოდ რევოლუციამ უკარნახა მმართველ ორგანოს, რაც შეეხება დანარჩენ მეომარ სახელმწიფოთ, იქ ომს ისევ ძველი მესვეურები აწარმოებენ და ჯერ ჩვენ არა ვვაქვს საბუთი, ვიფიქროთ, რომ იგინი დაკმაყოფილდებიან დღევანდელ მდგომარეობით და შორეულ მიზნებზე ხელს აიღებენ. ინგლისი მესოპოტამიის და პალესტინის დაპყრობას განაგრძობს, რათა ამით სუეცის არხისთვის მყუდრო საფარი გაიკეთოს. საფრანგეთიც აცხადებს პრეტენზიებს სირიაზე, მხოლოდ რაც შეეხება ელზას-ლორენს, მის დათმობას დაუყოვნებლივ მოითხოვს. ბალკანეთზეც დავა და გართულება მოსალოდნელია სერბეთის, მთაშავეთის და რუმინეთის აღდგენა ჯერჯერობით კითხვად რჩება, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, თუ რა დავა ჰქონდათ 1912 წელს ბალკანეთის ერებს და, მაშასადამე, მათ შორის საქმის მოგვარება, არც ისე ადვილი საქმეა.

სერბეთი თხოულობს ადრიატიკის ზღვაში გასავალს, იტალეთი ალბანეთის ნაწილს, ბულგარეთი მოითხოვს ბულგარულ მაკედონიას ქ. მონასტირით. თუ როგორი სურვილები აქვთ რუმინეთს, საბერძნეთს და ოსმალეთს ეს ჩვენ არ ვიცით. არ ვიცით აგრეთვე ის, თუ როგორ პოზიციას დაიჭერს ამერიკა და ან რას მოითხოვს იაპონია. გერმანეთის უმთავრესი მიზანი იყო აღმოსავლეთში გაბატონება, ხოლო ამერიკისა ჩინეთში. უანექსიო ზავით ვერც ერთი და ვერც მეორე იმპერიალისტურ მისწრაფებათ ვერ დაიკმაყოფილებენ. კიდეც რომ შესძლოს დემოკრატიამ ამ ჟამად საპატიო ზავის შეკვრა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ზავი ვერ იქნება ხანგრძლივი და კაცობრიობას ისევ ომის შიში ამყოფებს. ყველაფერი ეს დიდად უძნელებს საქმეს საპატიო ზავისთვის მებრძოლ დემოკრატიას.

Ser.

---

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

## დეპეშები

**დეზერტირები.**

**მინსკი.** 14 მაისი. თავისუფლების მოედანზე შეიკრიბა 100-მდის დეზერტირი და გამართეს მიტინგი, რის შემდეგაც დროშებითა და მუსიკით გაემართენ სამხედრო უფროსთან თხოვნით, რათა იგინი გაგზავნილ იქნან ბრძოლის ველზე.

**თვით გასამართლება.**

**ვინიცა.** 11 მაისი. გახშირდა თვითგასამართლება. ცხენის ქურდობა შესწამეს ერთს სამხედრო მოხელეს გამოიყვანეს და ძალა დაატანეს, რათა საჯაროდ ეღიარებია დანაშაული. მოხელე იქვის მსხვერპლი შეიქმნა.

**მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების სხდომა.**

**პეტროგრადი.** 13 მაისი. მუშათა და ჯარისკაცთა სხდომაზე მოისმინეს სიტყვები მინისტრ-სოციალისტებისა: წერეთლისა, სკობელევისა და ჩერნოვისა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებმა გადასწყვიტეს სრული ნდობით ეპყრობოდენ მინისტრ სოციალისტებს და მთელს დროებითი მთავრობის შემადგენლობას.

**უწესოებანი აგრარულს ნიადაგზე.**

**ფსკოვი.** 15 მაისი. მწვავე ხასიათი მიიღო აგრარულს ნიადაგზე უწესოებათა მოხდენამ ინაწილებენ კერძო მესაკუთრეთა მიწებს. არ ერიდებიან თვით გლეხების კერძო საკუთრების მითვისებასაც.

**საფინანსო მინისტრის პროექტი.**

**პეტროგრადი.** 13 მაისი საფინანსო მინისტრმა წარადგინა დროებითი მთავრობის წინაშე პროექტი, ფასის მომატების შესახებ რკინის გზის სამოგზაურო ბილეთებზე და ბარგის გაგზავნის კვიტანციებზე. საფინანსო მინისტრის წინადადებით ხსენებული ბილეთების ფასი უნდა გადიდდეს 50 პრც.

**პრემიერ მინისტრის დეპეში.**

**პეტროგრადი.** 16 მაისი. პრემიერ მინისტრმა შემდეგი შინაარსის დეპეშები დაუგზავნა საგუბერნიო კომისარებს: სხვა და სხვა ადგილებში ყოველგვარი უწესოებანი ხდება რაც ხელს უშლის წინსვლასა და აფერხებს მოპოებულ თავისუფლებისს განმტკიცების საქმეს. ამისთვის მოგიწოდებთ მიიღოთ ზომები ხსენებულ უწესოებათა თავიდან ასაშორებლად.

**გენ. დრაგომიროვის სიტყვა.**

**რიგა.** მაისის 13. ჩრდილოეთ ფრონტის მთავარსარდალ დრაგომიროვმა მუშ. და ჯ.-კ. დეპ. მხრით ყრილობას შემდეგის სიტყვით მიჰმართა: ცენტრალ) იმპერიების იმპერიალიზმი — ჩვენი წყლულია. საფრანგეთ-ინგლისამერიკის დემოკრატია ჩვენს მხარეზედ არის. ჩვენ უნდა ვეცადოთ შევქმნათ დემოკრატიის თავისუფლება და არა ბეტმან-ჰოლვეგისა და ვილჰელმისა. სეპარატიული ზავი ვერ უზრუნველ-ჰყოფს თავისუფლებას. ჩვენ უნდა ვუშველოთ ჩვენს მოკავშირეთ და გავანადგუროთ გერმანელთა იმპერიალიზმი. ჩვენ დიდი შეცდომა მოგვივიდა როცა გერმანელთა დამმობილებას ნება დაჰვრთეთ. გერმანელთა დაძმობილებამ ფრანგთა შეჩერება გამოიწვია. საფრანგეთის გამარჯვება დიდია. საფრანგეთმა ჰინდენბურგის რკინის ხაზი გაარღვია. გერმანეთის პარლამენტარები 1 ნახევრის თვის ზავს გვთხოვენ რათა ჯერ დასავლეთი მოსპონ და მერე ჩვენ მოგვესივნენ. თუ ჩვენ მთელს ფრონტზე მედგრად შევუტევთ, ზავიც რამდენიმე კვირის შემდეგ ჩამოვარდება, თუ არა და ომი რამდენსამე წელს გაგრძელდება და შთამომავლობის წყევას დავიმსახურებთ.

**ყაჩაღთა დახოცვა**

**სარატოვი,** მაისი 13. სამი შეიარაღებული ყაჩაღი, რომელთაც ვასილადის საკანდიტეროდან რამდენიმე ათასი მანეთის ნივთი გაიტაცეს, მოკლულ იქმნენ

**შეიარაღებული თავდასხმა.**

**სიმფეროპოლი.** მაისის 6. სოფელ აკიმოვკაში, მელიტოპოლის მაზრაში მხეცურად დაახრჩვეს მდიდარი ვაჭარი ხარკინი, მისი მეუღლე და მოსამსახურეები.

**ორიოლი** მაისის 13. ოთხი შეიარაღებული ყაჩაღი მდიდარ ვარფნიკის სახლს თავს დაეცა. თავდასხმა მოგერებულ იქმნა საშველად მოწვეულ დაჭრილ სალდათების მიერ. ერთი ყაჩაღთაგანი მოკლულ იქმნა.

**რიაზანი** მაისის 13 „კრასნი ხოლმში“ ყელი გამოსჭრეს მთელ ოჯახს დარაჯს და მის ქალიშვილს.

**კატორღელების თხოვნა**

**ნიჟნინოვგოროდი.** მაისის 13 გუბერნიის კომისარს ხუთასამდე თხოვნა მოუვიდა კატორღელებისგან. გაგვანთავისუფლეთ და ჯარში გაგვიწვიეთო. შემოწმების შემდეგ 400 მდი ჯანსაღი აღმოჩდა. ესენი ჯარში გაიგზავნებიან.

**სუბსიდიის მოთხოვნა.**

**მოსკოვი.** 13 მაისი. ადგილობრივმა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დეპეშით მიმართა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, რათა სუბსიდიათ მისცენ მილიონი მანეთი სამხრეთ-დასავლეთის მხარეში აგიტაციის გასაწევ საჭიროებათათვის.

**გზათა მინისტრის მოგზაურობა.**

**ხარკოვი.** 12 მაისი. გზათა მინისტრ ნეკრასოვს შეეგებენ სამხრეთ გზების მთავარ კომიტეტისა და მუშათა დელეგატები.

**ცეცხლი.**

**ხარკვი.** 12 მაისი. სოფელ ულიანოვკაში ცეცხლმა იმსხვერპლა 25 სახლი.

**ბრძოლის ველზე პურის გაგზავნა.**

**ტამბოვი.** 11 მაისი. მაზრის მცხოვრებლები ერთგულად ეკიდებიან ბრძოლის ველზე პურის გაგზავნის საქმეს. მრავალი მათგანი უსასყიდლოდ უთმობენ პურს.

**გლეხთა ყრილობის დადგენილებანი.**

**სიმფეროპოლი.** 9 მაისი. გლეხთა ყრილობაზე დადგენილი იქნა ბოლო მოეღოს გლეხების მიერ ძალით მიწების დატაცებას მითვისებას, ვინაიდგან ასეთი უწესოებანი სრულ ანარქიამდე მიგვიყვანს.

**ძარცვა-გლეჯა.**

**სარატოვი.** 13 მაისი. 3 შეიარაღებული უცნობი, რომელთაც გაიტაცეს საკანდიტეროსაგან რამდენიმე 100 მანეთი, ქუჩებში ხალხმა ჩაქოლა.

**ლეიტენანტი შმიდტის ნეშტი.**

**სევასტოპოლი,** მაისის 18. სრულს 2 საათზე ჰორიზონტზე გამოჩნდა კრეისერი „მარია“, რომელსაც ლეიტენანტ შმიდტის ნეშტი მოჰქონდა. დროშები ძირს დაუშვეს. ზარბაზანის სროლით მიესალმნენ. გრაფის ნავთსადგურთან ორი ნავი გაემართა; კუბოების გადმოსაზიდავად. ნაპირზე ქალაქის სამღვდელოება შეკრებილიყო ეპისკოპოზ სილვესტრის მეთაურობით. ქუჩები ხალხით გაივსო. ჯარი დროშებით და სამგლოვიარო ალმებით იდგა. პროცესიის წინ ორასზე მეტი გვირგვინი მიაქვთ. კუბოს ასზე მეტი დელეგატი მისდევს. წინ მიუძღოდა ამირბარ კოლჩაკი თავის შტაბით. კუბო მეზღვაურთა აფიცრობას და მუშებს მიჰქონდათ. ცხედარს უკან მისდევდა შმიდტის ვაჟიშვილი. სამაგალითო წესიერება იყო.

---

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

## დეპეშები.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**ლონდონი.** მაისის 12. ოფიციალი. ხდებოდა საარტილერიო ბრძოლები ასპარეზის სხვადასხვა ადგილებში. მნიშვნელოვანი საარტილერიო ბძოლა მდ. სკარპის მარცხენა ნაპირზე და ლოოსის ახლო მახლო მდებარე ადგილებში გრძელდება.

**ლონდონი.** მაისის 12. ოფიციალი. ღამის განმავლობაში ვიგერიებდით მტრის იერიშებს. გერმანელები უკუ ვაქციეთ. ჰინდერბურგის ხაზით ჩვენის სადარაჯოების ახლო მტრის ერთი რაზმი დიდათ დავაზარალეთ. არლოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ მოვახდინეთ მცირე ოპერაცია. ლოოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით დავიკავეთ ნაწილი მტრის თხრილებისა. წამოვიყვანეთ 28 ტყვე. მტრის მიერ მოტანილი კონტრიერიში მოვიგერიეთ. წამოვიყვანეთ რამდენიმე ტყვე გერმანელი.

**ლონდონი.** მაისის 11. ოფიციალი. არმანტევის მიდამოებში გერმანელების თავდასხმები მოვიგერიეთ ტყვის მფრქვეველთა ცეცხლის საშუალებით. მტერმა დიდი ზარალი ნახა.

**იტალეთის ასპარეზზე.**

**რომი.** მაისის 11. ოფიციალი. მტერმა მოულოდნელი თავდასხმებით გამოილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ. მიიტანა რამდენიმე კონტრიერიში და განაგრძობდა საარტილერიო სროლას, მაგრამ უკუ ვაქციეთ. მტერმა ბრძოლის დროს დიდი ზარალი ნახა. წამოვიყვანეთ 9000 ტყვე. მათ შორის 3020 ოფიცერი. ბრძოლაში მონაწილეობდა საჰაერო ძლიერი რაზმები. ენერგიულ მოქმედებას განაგრძობდა ინგლისის ახალი ტიპის ბატარეები. დიდი ენერგია გამოიჩინეს აგრეთვე ჩვენმა საზღვაო ბატარეებმა. გორიცას მიდამოებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. იერიშები ჩვენც მივიტანეთ მტრის სიმაგრეებზე. მოიტესაკტისს მიდამოებში საგრძნობლად წინ გავიწიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.**

**ლონდონი.** მაისის 12. ოფიციალ. ჩვენმა მფრინავებმა გამოიჩინეს ენერგიული მოქმედება. ჩამოაგდეს გერმანელების 7 ჰაეროპლანი. დააზიანეს 5 მტრის ჰაეროპლანი. აღარ დაბრუნებულა ჩვენი 6 ჰაეროპლანი.

**რომი.** მაისის 11 ჩვენმა აპარატებმა მტრის პოზიციებზე ყუმბარები ჩამოყარეს. მტერი ტყვის მფრქვეველებს უშენდა, მაგრამ ყველა აპარატები უვნებლად დაბრუნდა.

**ლონდონი.** მაისის 11. ოფიციალი. საჰაერო ბრძოლის დროს ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 5 ჰაეროპლანი. მტრის 6 ჰაეროპლანი დავაზიანეთ. ჩვენ 3 ჰაეროპლანი დავკარგეთ.

---

# ახალი ამბავი.

საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის არჩევნები. კვირას, 21 მაისს, ქალ. გამგეობის დარბაზში დანიშნულია არაჩვეულებრივი საზოგადო კრება საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარის ასარჩევად. კანდიდატად დასახელებულია ალექსანდრე სიმონისძე საყვარელიძე. ეს კანდიდატურა. როგორც სჩანს, ყველა მიმართულების წევრთათვის დამაკმაყოფილებელი იქნება.

✦ სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. ქუთ. ქართულ გიმნაზიაში მასწავლებელთა რამდენიმე ჯგუფი მუშაობს და ამზადებს ამ ზაფხულზე გამოსაცემად სხვა და სხვა სახელმძღვანელოებს ქართულ ენაზე. მზადაა გამოსაცემად; 1) არითმეტიკული სახელმძღვანელო, 2) არითმეტიკული გამოცანების კრებული, 3) გეომეტრია, 4) ალგებრა.

✦ რკინის გზის შტოს გაყვანა. ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის მხრით ნება დართო და სასურველათ სცნო დახმარება აღმოუჩინოს ინჟენერ კოვალსკის, რომელსაც გადაუწყვეტია

---

# ჩვენი გლეხობა და ჩვენი პარტიები.

**სადღეისო განცდანი.**

როგორც გუშინაც ვწერდით, (იხილეთ „ჩვენი ქვეყანა“ № 32) რაკი საქართველო რუსეთთან შეერთებით ასცდა თავის მშობლიურ გზას; რაკი საქართველო, ერთის დაკვრით, იძულებული შეიქმნა დამორჩილებოდა უცხო კანონებს, უცხო სკოლას, უცხო წესს ცხოვრებისას; რაკი კულტურა და სოფლმხედველობა საქართველოისა გადაწყდა; რაკი ეკონომიური განვითარება ჩვენის ქვეყნისა მოიხარა; რაკი ჩვენი მაშინდელი შემდეგი თაობის ახალ-თაობაც იძულებული შეიქმნა ეცხოვრა სხვის ჭკუითა და გონებით, განვითარებულიყო სხვის მეცნიერებით, გამოწაფულიყო გადმორუსულებულ ევროპიულ აზროვნებით, — დღეს ჩვენში არსებობს სამი უცხო ნიადაგის პარტია და ერთიც თუმცა, ქართველ სოციალისტებისაგან ყბად აღებული, მაგრამ საქართველოს თავისებურობის აღდგენის მოსურნე პარტია.

ეს პარტიებია:

1 პარტია სოციალ-დემოკრატებისა. 2 პარტია სოციალ-რევოლუციონერებისა, 3 პარტია სოციალ-ფედერალისტებისა და 4 პარტია ეროვნულ დემოკრატებისა.

პირველია წმინდა წყალის გერმანული პარტია მეორე წმინდა წყალის რუსული პარტია მესამე — რუსულიდან გლახად გადმოქართულებული პარტია და მეოთხე — ნამდვილი ქართული პარტია, წარმოშობილი ქართველი ერის წიაღიდან. *)

პირველი სამი პარტია არის პარტია სოციალისტური. ესე იგი, ესენი უარსა ჰყოფენ კერძო საკუთრებას მიწაზე, მანქანებზე, საწარმოვო იარაღებზე და მოითხოვენ შრომის და ქონების გაერთიანებას.

მეოთხე პარტია-კი — პარტია ეროვნულ დემოკრატებისა — არის პარტია არა სოციალისტური და იცავს კერძო საკუთრებას წინასწარობის ნიადაგზე.

საბოლოო მიზანი პირველი სამი პარტიისა არის სოციალიზმი, ანუ დამყარება ცხოვრების ისეთის წესისა. შემოღება ისეთის წყობილებისა, როცა აღარავის არ ექნება კერძო საკუთრება, როცა ვეღარავინ იტყვის: „ეს ჩემი ქარხანა და წისქვილია, ეს ჩემი მანქანააო“, არამედ მთელს თემს, მთელს საზოგადოებას, მთელს ერს, მთელს სახელმწიფოს, მთელს კაცობრიობას ექნებათ საერთო მიწა, საერთო ვენახები, საერთო ბაღები, საერთო ქარხნები, საერთო საწარმოვო იარაღები, საერთო შენობები. ქალმაც, კაცმაც, დიდმაც პატარამაც — ერთის სიტყვით ყველა ასაკოვანმა და ჯანსაღმა წევრმა საზოგადოებისამ უნდა იშრომოს, იბეჯითოს, იმუყაითოს, და შეჰქმნას ერთგვარი ღირებულება. ეს სიმდიდრე ყველამ უნდა დააგროვოს ერთს ადგილს და მერე დანაწილდეს წევრთა შორის თითოეული წევრის შრომის მიხედვით. ასეთი წესის დროსაო — გვეუბნებიან სოციალისტები — ყველა ერთგვარად იქნებაო კმაყოფილი თავის ბედისა, აღარ იქნება არც დამჩაგვრელი, არც დაჩაგრული, არც ბატონი, არც, მონა, არამედ ერთი ყველასათვის იზრუნებს და ყველა ერთისთვისო.“

როდის ან რა გზით დამყარდება სოციალიზმი?

დრო სოციალიზმის დამყარებისა ძნელი საჩვენებელია და გზებიც ბევრ გვარია.

სოციალ-დემოკრატების რწმენით, უნდა განხორციელდეს თან და თან.

შემჩნეულიაო-ამბობენ სოციალ-დემოკრატები, რომ სიმდიდრე (კაპიტალი, მიწა) ნელ-ნელა ეცლება ხელიდან უმრავლესობას და გადადის უმცირესობის ხელში, (კონცენტრაცია სიმდიდრისა), ესე იგი, წვრილი მესაკუთრე, წვრილი ხელოსანი ვერ უძლებს მსხვილი მემამულისა თუ მექარხნის მეტოქეობას და იძულებულია მიატოვოს თავისი საკუთრება, დაჰკარგოს ან მიჰყიდოს იგი მსხვილ მწარმოებელს, დიდი ფულის პატრონს და თითონ კი დადგეს მის მოჯამაგირედ, დღიურ მუშათ ქარხანა-ფაბრიკაში.

ასეთ მოვლენას ჰქვიან პროლეტარიზაცია, თან და თან გალარიბება ხოლო იმ მშრომელს კი. რომელიც ჰკარგავს ყოველივე კერძო საკუთრებას, ჰკარგავს მიწას, ბაღ-ვენახს საქონელს, იარაღს და რჩება მხოლოდ თავის მარჯვენის ამარა-ჰქვია პროლეტარი, — ჩვენებურად — ბოგანო, უსახლ-კარო, დღიური მუშა-კაცი.

რაკი ყველა სულიერს გამოკვება სჭირია, თავისთავად ცხადია, რომ დღიურმა მუშებმა უნდა მიაშურონ ქალაქს, ქარხანა-ფაბრიკებს, ან დადგენ მოჯამაგირეებად მსხვილ მემამულესთან გაჰყიდონ თავისი მარჯვენა, თავისი ძალღონე, იღონ დღიური ხელფასი და ამით აცხოვრონ თავისი ცოლშვილი...

აქ იწყება ტანჯვა-წვალება დღიური მუშისა.

მექარხნე თუ მემამულე სცდილობს რაც შეიძლება იაფად დაიქირავოს მუშები, ბევრი ამუშაოს, ცოტა მისცეს და მით თავის სიმდიდრე გააორკეცოს...

ამას ჰქვია ექსპლოატაცია-დაჩაგვრა, გაყვლეფა, დაჯაბნება მუშებისა...

მუშები თავის მხრივ ერთმანეთში მეგობრდებიან, ადგენენ კავშირებს, ჯგუფებს, ამხანაგობებს და საერთო ძალით, საერთო გულისთქმით იწყებენ ბრძოლას ალების, „ხაზეინების“ წინააღმდეგ.

იმართება სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, ჩაღდება მოწინააღმდეგობა, ღრმავდება გამწვავება.

წვრილ მესაკუთრეთა თანდა-თანობითი გაბოგანოვებით მრავლდება რიცხვი მუშებისა.

შეძლებულთა ერთმანეთთან ქიშპობით კი მცირდება რცხვი მდიდრებისა, რადგანაც ნაკლებად შეძლებული ვეღარ უძლებს უფრო მეტად შეძლებულს და ერთ მშვენიერ დღესაო — ამტკიცებენ სოციალ-დემოკრატები გაპროლეტარებული, გაბოგანოებული დიდი უმრავლესობა დაესხმის თავს ერთ-მუჭა მდიდრებს, წაართმევს ქონებას, გაასაზოგადოებრივებს მას და კაცობრიობის ტანჯვასაც ბოლო მოეღებაო: დამყარდება სოციალიზმი მოისპობა კლასთა ბრძოლა, ჩამოვარდება სრული თანხმობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოებაო...

ასევე სწამთ სოციალ რევოლუციონერებსა და ჩვენებურ სოციალ-ფედერალისტებსაც, მაგრამ ისინი აღარ უცდიან ქვეყნის გაპროლეტარებას.*)

მათის აზრით, ქვეყნის მოყვარულმა, ქვეყნისჭირის უფალმა რაც შეიძლება მალე უნდა შეაგნებინოს ხალხს სოციალიზმის უპირატესობა და როცა კი ხელ საყრელ დროსა ნახავს, რევოლუციის, ხალხთა აჯანყების, წყალობით დაეპატრონოს ქვეყნის სიმდიდრეს და დაამყაროს სოციალიზმიო... ასეა თუ ისე, ყველა ჩვენებურ სოციალისტური პარტიის საბოლოო მიზანია, როგორც

---

*) სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაც უფრო ეროვნულია, და „მოდის“ გულისათვის არის გამოქცეული ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისაგან, წინააღმდეგ ბ. ღლონტების რწმუნებულებისა, რასაც თავის დროზე დავამტკიცებთ.

ი. ე.

*) ჩვენმა ფედერალისტებმა უკვე გამოაცხადეს მიწის სოციალიზაცია, თუმცა არ ვიცით, რომელი მათგანი „შეაბამს კატას ეჟვანს“ ესე იგი, რომელი მათგანი მივა ჩვენ გლეხებთან და ეტყვის: „ამიერიდან შენი მიწა შენ კი არა, მთელ საზოგადოებას ეკუთვნისო“.

ი. ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის გზის გაყვანა სად. საჯავახოდან აგარაკ ერკეთამდე.

✦ **სროლა და დაპატიმრება.** 18 მაისს ღამის 10 საათზე ქალაქის წესრიგის დამცველმა ჯარის კაცებმა გაიგეს, რომ სასტუმრო „ინგლისში“ უცნობი პირები იარაღს აგროვებენო. ჯარისკაცები საჩქაროდ შევიდენ სასტუმროში და მისი გაჩხრეკა დაიწყეს, იარაღი უპოვეს რუსეთის ქვეშევრდომ მაჰმადიანებს, რომელნიც გაჩხრეკის დროს წინააღმდეგობას აპირებდენ. ჯარისკაცებმა რამდენჯერმე გაისროლეს თოფი. ამავ სასტუმროში შეიპყრეს რუსეთის ქვეშევრდომი სომეხი, რომელიც აგეთვე იარაღს იძენდა. როდესაც სასტუმროში ჩხრეკა სწარმოებდა, ვიღაც უცნობმა ამ დროს სასტუმროს წინ რამდენჯერმე გაისროლა რევოლვერი და გაიქცა. დაჭერილი იარაღი და მისი შემძენლები პირველად მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოში მაიყვანეს შემდეგ კი ქუთაისის მილიციის განკარგულებაში გადასცეს.

✦ **ახალი რკინის გზა.** ინჟინერი კოვალსკი ტელეგრაფით ატყობინებს ქუთ. აღმასრულებელ კომიტეტს, რომ მას ამიერ კავკასიის განსაკუთრებულმა მთავარმა კომიტეტმა ნება დართო შეადგინოს გეგმა საჯავახოდან ერკეთამდე რკინის გზის გაყვანისა. აღმ. კომ. პრინციპიალად თანახმაა გზის გაყვანისა და აგრეთვე თავის მოვალეობად ისახავს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ინჟინერ კოვალსკის თავის მუშაობაში.

**ქუთ. მომხმარებელი საზოგადოება** „კოოპერაციის“ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია ქალაქის თეატრში კვირას, 21 მაისს დილის 10 საათზე. გამგეობა სთხოვს წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

✦ **ეგ. ნინოშვილის პანაშვიდი.** ჩოჩხათის საზოგადოების (გურია) სარაიონო კომიტეტი ეგ. ნინოშვილის გარდაცვალების 23 წლის თავზე მწერლის სამშობლო სოფელში, სოფ. ჩანჩეთში და მწერლის საფლავზე სამოქალაქო პანაშვიდის გადახდას აპირებს. პანაშვიდი კვირას იქნება, მაისის 12 ს. ამავე დღეს იმავ სოფელში ეგ. ნინოშვილის. სახელობის სამკითხველო გაიხსნება.

— **საამშენებლო მასალა.** გვთხოვენ გამოაცხადოთ, რომ ქუთაისის შუა გულთან ახლა იყიდება ყოველგვარი ძველი სააშენებლო მასალა. ცნობების მიღება შეიძლება სააღგილ-მამულო ბანკში მოსამსახურე გიორგი კოსტას ძე ჯავახიასთან

— **ქალაქის არჩევნები** ქუთ. ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა ამიერ კავკასიის მთავარ კომიტეტისგან მიიღო განკარგულება რომ ახლავე შეუდგეს ქალაქის არჩევნების მოხდენას არჩევნების ინსტრუქცია რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს აღმ. კომიტეტმა, დასტამბულია ჟურნ. „მმართველობის ცნობებში“.

✦ **უბედური შემთხვევა.** 17 მაისს ქუთ. მცხოვრებს ქართველ ისრაელს ჟვიტიაშვილს მოუკვდა ვაჟი შვილი. ვაჟის სიკვდილმა ისეთი გავლენა მოახდინა ჟვიტიაშვილის ქალიშვილზე, რომ ამ უკანასკნელმა რიონში თავი დაირჩო.

— **ქუთ. მელვინეთა და მიკიტანთა** საყურადღებოთ. 20 მაისს საღამოს 7 საათზე ქუთაისის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია თათბირი, რომლის მიზანიც არის, მეღვინეთა, ღვინით მოვაჭრეთა, და მიკიტანთა შორის კავშირის დაარსება, საკუთარ მამასახლისის ამორჩევა და სხვა საკითხების განხილვა.

## თბილისი.

✦ **ჯარისკაცთა შუამდგომლობა.** მაისი 16-ს ამიერ-კავკასიის კომისარიატთან იყვნენ გორის მაზრის დეზერტირთა და ჯარში ახლად გაწვეულთა დელეგატები და შემდეგი განუცხადეს: ამ დღეებში ქალაქ გორში მოხდა მიტინგი დეზერტირებისა და ჯარში ახლად გაწვეულთა. მიტინგმა, რომელსაც 5000 კაცი დაესწრო, დაადგინა გთხოვოს თქვენ, რომ 1) რადგან სოფელი უმუშახელოდ დარჩება, თუ ყველანი ხლავაკ ბრძოლის ველზე წავიდნენ, ამიტომ საჭიროა, რომ ოჯახზე თითო მუშა მაინც დარჩეს; 2) ხელახლად შემოწმებულ იქმნან ავადმყოფებად ცნობილი, რომელნიც პროტექციებისა და სხვა საშუალებით თავი ვაინთავისუფლეს; 3) მომუშავენი იქ ქარხნებისა, რომელნიც სამხედრო მასალას ამზადებენ, ბრძოლის ველზე გაიგზავნონ, ხოლო მათ ადგილას ქარხნებში ამუშაონ სნეულებისა და ჭრილობისაგან განთავისუფლებული სალდათები; 4) ყველა სოფელში მოეწყოს კომიტეტები. რომელთაც უნდა მონახონ დამალული ჯარისკაცები.

კომისარიატმა განცხადება თანაგრძნობით მოისმინა და განაცხადა, რომ შუამდგომლობას ცენტრალ მთავრობას ვაცნობებთ, მაგრამ ამან არ უნდა შეაფერხოს ბრძოლაში დროზე წასვლაო.

✦ **პროვოკაცია ლაგოდეხში.** თბილისში ლაპარაკობენ, ვითომც ლაგოდეხის გარნიზონისათვის ვიღაც პროვოკატორებს ჩაეგონებიოსთ, რომ ზაქათალის მუსულმანები საომარ იარაღს იძენენო და ამის გამო ვითომც გარნიზონი დიდად აღელვებული იყვნენ და მცხოვრებთა გაჩხრეკას აპირებდეს.

✦ **კავკავი თავდასხმის მოლოდინში.** უკანასკნელ დროს კავკავის ქუჩებზე შემდეგი განცხადება იქმნა გამოკრული: მოქალაქენო! უკანასკნელი ცნობებით სჩანს, რომ მთიულები თავდასხმას აპირებენ ქალაქის მცხოვრებლებზეო.

— **კავკასიის დაპყრობის დღის გაუქმება.** თერგის ჯარის წრემ გადაწყვიტა ამიერიდან გაუქმებულ იქნას კავკასიის დაპყრობის დღე აგვისტოს 25. მის მაგიერ იუქმებენ 2 მარტს, რომანოვის დინასტიის დამხობის დღეს.

— **შიშიანობა გროზნაში.** გროზნაში ამ დღეებში მოიტანეს მდიდარ მემამულის „აკვარიუმის“ პატრონის ჩუპრინის გვამი. ჩუპრინი გზაში მოეკლათ. სიკვდილის ამბავმა ქალაქი ძლიერ აღელვა. საღამოზე ხმები გავრცელდა, რომ ჩაჩნებს განზრახვა აქვთ მცხოვრებლები ამოხოცონო. მუშათა საბჭოს სადგომში გამოცხადდა მცხოვრებლები და სთხოვეს ქალაქი დაეხსნათ მომავალ რბევა-ჟლეტისაგან. მათ განაცხადეს, რომ ჩაჩნების შეიარაღებამ ისინი შეაფიქრიანა. საბჭოს წევრმა მცხოვრებლებს დამამშვიდებელი სიტყვები უთხრეს და აუხსნეს, რომ ჩაჩნებმა თავისი აღმასრულებელი კომიტეტი აირჩიეს, რომელმაც უკვე მიიღო ზომები თავდასხმა ყაჩაღობის მოსასპობადაო. შედგენილია სპეციალური რაზმები ყაჩაღებთან საბრძოლველად. თავიანთი მხრივ ჩაჩნებმა განაცხადეს, რომ ყაჩაღები მტერნი არიან ჩაჩნებისაც და მათთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. ჩაჩანთა და მუშათა საბჭოს შეერთებულ სხდომაზე გადაწყვეტილი იქნა მცხოვრებლებს იარაღი ჩამოერთვას, სადგურთან სპეციალი რაზმი სდგას, რომელიც იარაღს ჰყრის მოსულ რუსებს და ჩაჩნებს. გროზნაში ამ ჟამად ოთხი ჯავშნიანი მატარებელი დგას, რომელზედაც 4 ზარბაზანი და 4 ტყვის მფრქვეველია. გროზნაში მრავალი ჯარი არის. ქალაქის კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ქალაქის მცხოვრებლები მოამზადოს თავდაცვისათვის.

— **რუსთა წარმომადგენელნი.** ამიერ-კავკასიის კომისარიატთან არსებულ საოლქო კათათბიროში ამ დღეებში მიწვეული იქნება რუს მცხოვრებთა მხრივ 7 წარმომადგენელი. შემდეგ ამისა სათათბირო აირჩევს პრეზიდიუმს. პრეზიდიუმში იქნება 4 წევრი (თითო კაცი ქართველებისა, რუსებისა, მუსულმანთა და სომეხთა მხრივ) და 4 მდივანი.

## პროვინცია.

— **გლეხთა კავშირი.** ახალციხეში მოეწყო გლეხთა კავშირი. უკვე 80 სოფელი მონაწილეობს. ფიქრობენ, რომ სხვა სოფლებიც მალე შევლენ ამ კავშირში. კავშირი უპარტიო და ინტერნაციონალური არის. მისი მიზანია სოფლელებს საეკონომიო და საპოლიტიკო ბრძოლა გაუადვილოს. არჩეულია დროებითი პრეზიდიუმი: ტერნერსეს, ტერ-გრიგორიან, ყაზახი რუდასი, აფიცერი ვარპეტიანი, ჟურნალისტი ივ. პიჩკინი, მასწავლებელი შ. დემირჩოგლიანი და ოგ. მარაშლიანი.

— **ზაქათალა.** ზაქათალის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ძალით ამაჰმადიანებს ქრისტიან ინგილოებს. 6 კომლი გაამაჰმადიანეს სოფელ ქარაგანში. ქრისტიანებს 2 დღის ვადა მისცეს მოსაქცევად. მდგომარეობა გამწვავებულია.

— **ზესტაფონი.** ზესტაფონში შეიპყრეს ექიმი მაჭავარიანი, რომელსაც ბრალდება „ოხრანკის“ აგენტობა კიევში სტუდენტობის დროს. ცნობები მაჭავარიანის ვინაობის შესახებ მიღებულია კიევიდან.

— **ს. ვანი.** (ქუთ მაზ.) ადგილობრივ სამკითხველოს გაზეთები (თბილისიდან და ქუთაისიდან) ძლიერ დაგვიანებით მოუდის. სოფლის საზოგადოება სთხოვს ყველა გაზეთის რედაქციებს თავის დროზე მოაწოდონ სამკითხველოს გაზეთები.

— **სოფ. ივანდიდი.** 15 მაისს აქ შემდეგი საზარელი ამბავი დატრიალდა. ვიღაც ბოროტ გამზრახველებმა გასთხარეს ახლად გადაცვლილ ვლადიმერ ქუთათელაძის საფლავი და მოინდომეს მისი გაძარცვა, მაგრამ შემოათენდათ და ვერაგულ მიზნის მიუღწეველი გაიქცენ. ამ ამბავმა თავზარი დასცა სოფელს. ადგილობრივ აღმ. კომიტეტის მოვალეობაა ასეთი, ადამიანის სახელის შემრცხვენელი, პირები მოსძებნოს და სოფელს მოაშოროს.

## ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**ქ. ფოთი.** პარასკევს 12 მაის ადგილობრივ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პოლიტიკურ კლუბში მოხდა პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საერთო კრება თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა სოლ. ჭოღუა, მდივნათ მღვდ ლ. წულაძე, რომელმაც კრებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა. პროგრამის საგანზე ილაპარაკეს შალ. კალანდარაშვილმა და ილ. ქოჩიაშვილმა კრებამ აუცილებელ საჭიროებად აღიარა, რომ ყოველ კვირა დღეს იყოს მოწყობილი ლექციების კითხვა პარტიის სხვადასხვა საკითხებზე. კრებაზე დასწრება ყველა წევრისთვის სავალდებულოა.

კრებამ მოიწონა კომიტეტის გადაწყვეტილება:

ა) გაზ“ საქართველოს“ და „ჩვენი ქვეყნის“ აგენტურის მოწყობა და გაზეთის დამტარებლის დაქირავება.

ბ) პარტიის ფონდის გასაძლიერებლად გაიმართოს წარმოდგენა გარეშე ძალთა მოწვევით, რის მოგვარება მიენდო ა. ქავთარაძეს. გადაწყვეტილია დადგას ქართულად ოპერეტკა „არშინ მალ-ალანი“

**საქთარველი.**

## ეროვნული კითხვა.

**ავსტრიის უკრაინელთა რეზოლუცია.**

ვენიდან დეპეშით იტყობინებიან რომ უკრაინის პარლამენტარულმა ფრაქციამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„უკრაინის პარლამენტარული ფრაქცია ძმური თანაგრძნობით ადევნებს რა თვალ-ყურს მძლე ნაციონალ-პოლიტიკურ მოძრაობას რუსეთის უკრაინისას, მიესალმება ამ მოძრაობას, რომელმაც გამოიჩინა საკმაო ძალა, პოლიტიკურთ სიმწიფე და მიიღო რა მხედველობაში პოლიტიკურ ხასიათისა და ფაქტიურ შესაძლებლობის პირობები, ასწია დროშა ავტონომიური უკრაინისა, რომლის გარშემო შემოკრბა როგორც მთელი უკრაინის ინტელიგენცია, ისე მთელი მშრომელი მასა.

რუსეთის უკრაინასთან ეროვნულ ერთობის შეგნებით, უკრაინის პარლამენტარული ფრაქცია, რომელიც სახელით ლაპარაკობს მთელი ავსტრიის უკრაინისა, მიმართავს ძმური სალამით ცენტრალურ უკრაინის საბჭოს და გამოსთქვამს იმედს, რომ მთელი უკრაინის ერი, შესდგა რა ეხლა ეროვნულ განთავისუფლების გზაზე, შეერთებული ძალით განახორციელებს უკრაინის ერის იდეალს, სრულ ეროვნულ თავისუფლებას“.

**პოლონელების გადაწყვეტილება.**

პოლონელთა კლუბმა ვენაში მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც გამოთქმულია ის აზრი, რომ პოლონელი ერის ერთადერთი მიზანი არის—აღდგენა შეერთებული პოლონეთისა და ზღვასთან გასავალი გზის მოპოება.

ამ კითხვის განსახილველათ კლუბმა დაადგინა კრაკოვში მოიწვიოს კრება რეიხსტაგისა და ლანდტაგის პოლონელ დეპუტატებისა. განზრახულია ისეთი მიმართვის შემუშავება, რომელშიც იქნება გამოთქმული იმედი რომ იმპერატორი კარლოსი ამ საქმის მოგვარებას თავის ხელში აიღებს.

კლუბის გადაწყვეტილებას სოციალისტებიც მიემხრო.

## მშობელთა წრე.

მშობელთა წრე, დამხობილი მეფის მთავრობამ, თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შემოიღო, ასე რომ, ჯერ ამ სიმპატიურსა და სასარგებლო დაწესებულებას ყველა ჩვენს სასწავლებლებში ფეხი არც კი მოუდგამს. ზოგიერთ ჩვენებურ საშუალო სასწავლებლებს რომ თავი დავანებოთ, სადაც ეს დაწესებულება დღემდის შემოღებული არ არის, დაბალსა და უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლებში მშობელთა წრე სრულიად არ მოიძებნება. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ სახალხო სკოლების მასწავლებლებს ამ ნაკლის შესახებ, არც აღმოსავლეთ საქართველოში და არც დასავლეთისაში, კრინტი არ დაუძრავსთ. ჩვენ სკოლებს კი მშობელთა წრის არსებობა, ქალაქებში იქნება ეს თუ სოფლად, დიდ სარგებლობას მოუტანს. ეხლა, ყველგან და ყოველ ტიპის სასწავლებლებში მასწავლებელთა ურთიერთ შორის ნდობის გამოცხადების და დანიშვნა-დათხოვნის პროცესი სწარმოებს. მართალია, ზოგიერთ ჩვენებურ საშუალო სასწავლებლებში უკვე მოხდა ნდობა-უნდობლობის გამოცხადება, მაგრამ სადაც ეს მშობელთა წრის მონაწილეობის მიუღე-

---

უკვე მოგახსენეთ, მოსპობა კერძო საკუთრებისა და დამყარება საერთო შრომისა და ამ შრომის საერთო ნაყოფის სამართლიანი განაწილება თავის წევრთა შორის...

მაშასადამე, მომავალი სოციალისტური ცხოვრება ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ ასე:

მთელი სიმდიდრე ეკუთვნის რესპუბლიკას, აღარ არის კერძო საკუთრება, რესპუბლიკის, სახელმწიფოს, თითოეული წევრი სახელმწიფოისა მონაწილეა ამ სიმდიდრისა თავისის შრომის მიხედვით. იმართება საერთო ბელლები, საერთო ყაზარმები, საერთო შენობები. არჩეული კაცები თვალყურს ადევნებენ თითოეულის შრომა-გარჯას, სამართლიანად ანაწილებენ შრომის ნაყოფს და თითოეულიც კმაყოფილია თავის ბედისა...

ახლა ვიკითხოთ, მართლა, შეიძლება დამყარება ცხოვრების ასეთი წესისა და რამდენად ხელსაყრელია იგი თითოეული კაცისათვის, როგორც პიროვნებისათვის, როგორც განსაკუთრებულ „მე“ —სათვის?

ამაზე პასუხს იძლევიან არასოციალისტები, რომლებიც უარსა ჰყოფენ სოციალისტურ წესს ცხოვრებისას და თითოეულ პიროვნების, თემის, საზოგადოების, ერის, სახელმწიფოის და მთელი კაცობრიობის კეთილ დღეობას ამყარებენ კერძო საკუთრების მოწესრიგებაზე და პიროვნების განვითარებაზე.

ესენი ამბობენ: მომავალი ცხოვრების ბურჯი არისო სამართლიანი განაწილება ქვეყნის სიმდიდრისა კერძო საკუთრებად. თითოეულ კაცს უნდა ჰქონდეს კერძო საკუთრებად იმდენი (მიწა, ბაღი, ვენახი) რამდენიც მას საშუალებას მისცემს ადამიანური ცხოვრებისას. იქნება თავისთვის, იმუშავებს თავისი საკუთარის თაოსნობით, თავის თავსაც შეინახავს და თავის ნაშრომის რამდენიმე ნაწილის გაღებით (გადასახადი შემოსავლის დაკვალად) სახელმწიფოსაც დაეხმარებაო...

განათლებული, თავისუფალი, შესმენილი პიროვნება არც თვითონ ჩაუხედავს სხვას და არც სხვას ჩაახედებს თავის ჯამში...

გარდა ამისა, არასოციალისტები მეცნიერულად ამტკიცებენ, რომ კაცობრიობა ერთხელ უკვე სცხოვრობდა კომუნალურის (სოციალისტურის, საერთო) ცხოვრებით, მაგრამ რაკ უფრო განვითარდა პიროვნება, რაც უფრო შეისწავლა ბუნება და კანონები ბუნებისა, რაც უფრო დაუკვირდა თავის გულის თქმას, რაც უფრო დაუკვირდა სხვის მოქმედებასაც, მით უფრო აუტანელი შეიქმნა მისთვის ჯოგური, ფუტკრული ცხოვრება და იგემარა ხილი „ხისაგან მის ცნობადისა“ მიატოვა მაშინდელი „სამოთხე“ და მოედო ტყე-ველს, რომ „ოფლითა თვისითა ეჭამა პური თვისი.“! ეს მოხდა მაშინ, როდესაც მატრიარხატი შესცვალა პატრიარხატმა და პატრიარხატი— კერძო ოჯახმა. ესე იგი, წინადაც, უხსოვარ დროს, ისტორიულ ხანის დაწყებამდე, ხალხის ქონება საერთო იყო: მთელი თემები ერთად ნადირობდენ, ერთად თევზაობდენ, ერთად მთაბარობდენ, ერთად იყოფდენ შრომის ნაყოფს, ერთმანეთში იყვნენ არეულნი: ერთ ქალს მრავალი ქმარი ჰყავდა, ერთს კაცს—მრავალი ცოლი. არ იცოდენ რა იყო კერძო საკუთრება, წვრილმანი შენ-ჩემობა. ვიდრე მეფობდა დედაკაცი (მატრიარხატი) იმსახურებდა მამაკაცს და შვილებსაც თავის გვარს აძლევდა; როცა დადგა მეუფება მამაკაცისა (პატრიარხატი) დედაკაცმა დაუწყო მას სამსახური და შვილებიც მამის გვარზე წავიდენ...

ის დრო [illegible] დრო ველურობისა, უმეცრებისა, უქნარობისა, საზრდოს ადვილად შოვნისა.

მაშინდელი ხალხი პირველ საჭიროების მოთხოვნილებათ [illegible] იკმაყოფილებდა და სხვა [illegible] არა აწუხებდარა. მაგრამ გავიდა დრო, ხალხი გამრავლდა, გათვითცნობიერდა, მათი ერთად ცხოვრება აუტანელი და შეუძლებელი შეიქმნა, გაიფანტა ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში, მოემატა გამოცდილება, მოემატა მოთხოვნილებაც:

ნანადირევი და ნათევზავი ველარ აკმაყოფილებდა მის ოჯახურ მოთხოვნილებას, მრავალ ცოლობა უზნეობათ მოეჩვენა, გული ერთზე ჩამოჰყარა, ცოლშვილს ერთგულობა მოსთხოვა, დაბინავდა ერთს ადგილს, დასახლ-კარდა და მიწის მოქმედებას მიჰყო ხელი: მოხნა, მოთესა, შემოღობა ყანა-ვენახი, რომ ჭირნახული არავის გაეთელა, და რაკი ერთხელ იგემა ნაყოფი თავის ოფლისა, რაკ ერთხელვე გაუტკბა ამაგი თავის შრომისა, ფეხი მაგრა დაადგა თავის მიერ შემოღობილ ნაჭერს მიწისას და წამოიძახა: „ეს ჩემიაო.“

აი, აქედან იწყება დასაბამი კერძო საკუთრებისა, შრომის შეფასებისა, გაცნობიერებისა. იმ დღიდან ამ დღემდე მოდის კაცობრიობა და მოსტირის თავის საკუთრებას, უფრთხილდება თავის ნაშრომს, აფასებს თავის ამაგს, უყვარს თავისი მამული, თავისი ცოლშვილი, თავისი სახლი, თავისი კარი, თავისი ბოსტანი, თავისი ვენახი, თავისი ხვნილი, თავისი თავი, თავისი თავისუფლება. „პიროვნება-ზოოლოგიური არსება გადაიქცა ეროვნულ არსებად“ და ვერავინ ვერ დაგვარწმუნებს, ვერავინ ვერ დაგვიმტკიცებს, თუ კი კაცობრიობის წარმოშობისა და შრომის ისტორია იცისო,—ამბობენ არა სოციალისტები მთელის ქვეყნისა—რომ ადამიანმა უარჰყოს თავისი მეობა და დაუბრუნდეს ისეთს საზოგადოებრივ ცხოვრებას, როგორსაც გვპირდებიან ჩვენი სოციალისტები, ვინაიდგან ეს ადამიანის შრომის, თავისუფალი პიროვნების, თავისუფალი ნებისყოფის საზოგადოებრივ ნებისყოფასა და შრომაში გათქვეფას მოასწავებსო.

მართალია საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინამორბედმა ჟანჟაკ რუსსომ დასწერა: ვინც პირველად შემოღობა პირველი ნაჭერი მიწისა და დაიჩემა, შექმნა კერძო საკუთრება, იმან დაღუპა მთელი ქვეყანაო“ მაგრამ ჟან-ჟაკ რუსსო ამ შემთხვევაში ვერ იჩენს მიუკერძოებლობას..

ეს სიტყვები მხოლოდ ამონაკვნესია გულნატკენი მამულიშვილისა, რომელიც ხედავდა თავის დროის მსხვილ მესაკუთრეთაგან მშრომელი ხალხის შევიწროებას და რომ ველარა გააწყო რა ულმრთო ფეოდალებთან, კერძო საკუთრების მომგონს შეუკურთხა. (შეაგინა).

ასე რომ არ იყოს, მაშ მართალნი ყოფილან კომუნისტური მანიფესტის“,— სოციალდემოკრატების ამ სახარების ავტორნი— კარლ მარქსი და ენგელსი, როცა გადაჭრით სწერდენ: მუშას სამშობლო არა აქვსო? მაგრამ.

არა!

ქართველ დასელების რუსთ მამათმთავარმა გ. პლეხანოვი ამტკიცებს: ეს იმიტომ სთქვეს მარქსმა და ენგელსმა, რომ გულ მოსულნი იყვნენ ბურჟუებზე, რადგანაც მუშებს თავის სამშობლოშიაც კი სიცოცხლეს უმწარებენო.

მაგრამ, მგონია, სიტყვა გამიგრძელდა. მე იმისი თქმა მინდოდა, რომ არასოციალისტურ პარტიებს და მათ შორის ჩვენს ეროვნულ-დემოკრატებსაც ბევრი საბუთი აქვთ დაამტკიცონ, 1) რომ სოციალიზმის დამყარება მხოლოდ ოცნებაა და თუნდაც ოცნება არ იყოს, თანამედროვე პირობებში, ისევე ვერ მოვესწრებით სოციალიზმს, როგორც ქართველი სოციალისტები თავის დღეში ვერ დაინახავენ თავის ყურებს (თუ სარკეში ან წყალში არ ჩაიხედეს, რასაკვირველია) და 2) რომ ძმურად განაწილებულ მესაკუთრეობითაც უფრო მშვენივრად შეიძლება ერთობისა და ადამიანური ცხოვრების დამყარება, თუ კი გული გულობს და სამართალი სამართლიანობს.

როგორ და რანაირად?

ამ კითხვების პასუხს მივიღებთ მას შემდეგ, როდესაც მოკლედ მაინც განვიხილავთ თითოეული პარტიის მიძღვრებას თუნდა მარტო მიწის საკითხის შესახებ...

**ია ეკალაძე.**

(შემდეგი იქნება.)

ბლად მოხდა, ჩვენის აზრით, საფუძვლიანი არ უნდა იყოს დანდობით აღჭურვილ მასწავლებლებს ჯერ კიდევ განსაცდელი მოელისთ. მშობელთა წრე საუკეთესო დამფასებელია მასწავლებლისა. მასწავლებელთაგან მშობლები, გარდა ცოდნის გადმოცემისა, თავის შვილების ზნეობრივ აღზრდასაც მოითხოვენ ზნეობრივად კარგად აღზრდა მოსწავლისა მხოლოდ ზნეობრივად სპეტაკ მასწავლებლებს შეუძლიათ. მშობლებმა, როგორც ქალაქებში ისე სოფლადაც, ძლიერ კარგად იციან ესა თუ ის მასწავლებელი, ქალია თუ კაცი, ზნეობრივად რა ღირებულებას წარმოადგენს. ერთის სიტყვით მასწავლებლის ზნეობრივად მშობლებთაგან შეფასება ერთ გვარი დიპლომი და პატენტია. ამისათვის მიუცილებლად საჭიროა, ყველგან ჩვენში და ყოველ გვარ სკოლებში მშობლებთა წრე დაწესდეს და მასწავლებელთა დანიშვნაში ამ წრემ მონაწილეობა მიიღოს და სადაც და რომელ სასწავლებლებშიც მასწავლებლებთა ნდობა უნდობლობა გარჩევა მშობელთა წრის დაუსწრებლად მოხდა, ამ გვარი მასწავლებლები, კარგი იქნება ჯერ კიდევ თავს ქუდში არ შეუყოფდენ და ზნეობრივად თავის გულში ჩაიხედავდნენ-არიან თუ არა ისინი ღირსი დიდებული სახელის **მასწავლებლის** ტარებისა და, თუ არ არიან, სჯობს საჯარო შერცხვენამდის, მომავალ ენკენისთვემდის თითონ დაცალონ ადგილები.

**მ. ქუთათელი.**

## სანიტარულ კომისიის საყურადღებოთ.

ქუთაისში ყოველგან უსუფთაობაა და ამ მხრით არც კი ვიცით, რა უბედურება მოგველის ქუთაისის მცხოვრებლებს, როცა სიცხეები დადგება. ამ ჟამად მე მინდა სანიტარულ კომისიის ყურადღება შემდეგს გარემოებას მივაქციო. უეჭველია, სხვებიც შენიშნავდენ, რომ ქალაქის თეატრის წინ აუტანელი სუნი დგას. ეს სუნი ამოდის წინმდებარე არხიდან და გასვლაც კი უჭირს კაცს ამ ალაგას, გაჩერება ხომ სულ არ შეიძლება. აქვე კი ქალაქის თეატრია, რომლის წინ ხალხი ხშირად გროვდება. აქვე საჩაიებია ორის მხრით, რომლების წინ ტროტუარები მუდამ ხალხითაა სავსე. აი ასეთი ადგილი წარმოადგენს უსუფთაობის ბუდეს. როგორც გადმომცეს, ეს უსუფთაობა მომდინარეობს ბულვარის გვერდით მდებარე არხიდან და ეს უკანასკნელი კი ჯერ ივანოვის ქუჩას გამოივლის, მერე თბილისის ქუჩას; არ იცის კაცმა, რა ალაგას აბინძურებენ და ვინაა ისეთი შეუგნებელი სახლის პატრონი, რომელიც თავისი სახლის ფეხისალაგს უერთებს ამ საერთო არხს და სწამლავს ამგვარად ქალაქს? უსუფთაობის სუნი საგრძნობელია ყოველ წვიმის შემდეგ; სჩანს, ვიღაც შეუგნებელს მიზნადა აქვს თავისი ფეხისალაგი მაშინ გახსნას, არხის წყალს შეუერთოს და გასწმინდოს, როცა ძლიერი წვიმაა.

ასეთ შეუგნებელ და მავნე საქციელს ბოლო უნდა მოეღოს: სანიტარულმა კომისიამ დაუყონებლივ უნდა მონახოს ვინცაა ამის მიზეზი და საგრძნობლად დააჯარიმოს, რომ შემდეგში არა თუ ის გადაეჩვიოს ასეთს საქციელს, არამედ სხვებიც აილაგმოს.

**ს. დათეშიძე.**

## იმერეთის საეპარქიო სამღვდელოების კრება.

(დასასრული, იხ. „ჩვ. ქვ.“ № 31).

კრება ერთხმად იღებს საეპარქიო აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას, დაინიშნოს თვითოეულ მაზრაში ორ-ორი სამღვდელო პირთაგან კომისარები, რათა თვალყური ადევნონ, როგორც მრევლთა, ისე საბლაღოჩინო-საოლქო საბჭოების მოქმედებას და არჩევნების სრულ წესრიგს, სადაც კი ესე ვითარი მოხდება და სხვა.

ვლ. მაჭარაშვილს შეაქვს თავისი მოსაზრება: არჩეულ იქმნას განსწავლულ პირთაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალება შეადგინოს ეპისტოლეს მსგავსი მოწოდება საქართველოში მყოფთ სხვა ეროვნებათა და სარწმუნოების აღმასრულებელთა მიმართ, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალოების შემდეგ, იმათ სარწმუნოებრივ გრძნობებს არავითარი საფრთხე არ მოელისთ.

კრების გათავებისას დარბაზში შემოდის ქუთაისის სემინარიის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი, რომლის სახელით მოწაფე რაჟდენ გოგოხია აცნობს კრებას ნავგზარხოსალ პლატონის და თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელთა უღიერობას და იმასაც, რომ თურმე ეს ვაჟბატონები გასათავებელ მოწმობებზედ ხელს არ აწერენ და საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრესაც არ აძლევენ ხელის მოწერის ნებას, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დამსწრეთა შორის. ვლ. მაჭარაშვილი ამშვიდებს მოსწავლეებს.

ვინაიდგან თბილისში 18 აპრილს სემინარიის მოსწავლეთა კრებაზედ ორი მოსწავლე ქუთაისიდგანაც უნდა წასულიყო, ამისათვის იმათ სამგზავროთ კრებამ სახელდახელოთ 40—50 მანეთამდის თავის ჯიბიდან შემწეობა აღმოუჩინა. ამის შემდეგ კრება დაიხურა.

**მღვ. ვლ. მაჭარაშვილი.**

18 აპრილი 1917 წელი.

## რ უ ს ე თ ი.

### „მენშევიკების“ კონფერენცია.

პეტროგრადში დაიწყო სრულიად რუსეთის „მენშევიკ“ სოციალ-დემოკრატების კონფერენციის სხდომები. კონფერენციაში მონაწილეობენ ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ირაკლი წერეთელი და შრომის მინისტრი სკობელევი. კონფერენციამ წერეთელი და ჩხეიძე საპატიო თავმჯდომარედ აირჩია,

### მინისტრ ირ. წერეთლის მოქმედება

ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა კითხვა აღძრა, ფოსტა-ტელეგრაფის სასურველ დონეზე დასაყენებლად გადიდებულ იქმნას ხსენებულ სამინისტროს შესანახი თანხა. 8 მაისს წერეთელი პირველად მივიდა ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოში, სადაც ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა მისალმების ადრესი მიართვეს.

### საგარეო პოლიტიკა.

ამ მოკლე ხანში საგარეო საქმეთა სამინისტრო განიხილავს ჩინეთსა და სპარსეთთან დადებულ ხელშეკრულებათ. საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ტერეშჩენკო იტყობინება, პარიზის ჩვენმა დესპანმა, იზვოლსკიმ, თანამდებობას თავი დაანება. ტერეშჩენკოსთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა საფრანგეთის რესპუბლიკის რწმუნებულს დუმსიეს. ამბობენ დარბაზობის დროს ზავის კითხვას შეეხენო.

8 მაისს სამხედრო და საზღვაო მინისტრმა, ალ. კერენსკიმ, ინახულა დიდი-ბრიტანეთის ელჩი სერ ჯორჯ ბიუკენენი და სამხედრო სამინისტროს აწინდელ საერთო გეგმაზე ებაასა.

### უ გ ა ზ ე თ ო ბ ა.

ქალაქ არზამასში გამოიანგარიშეს და აღმოაჩინეს, რომ რუსეთში 120,000 კაცზე დღეში მოდიოდა 100—150 გაზეთი. ასე რომ ერთი გაზეთი 250 ოჯახზე მოდის.

### საპოგრომო აგიტაცია.

8 მაისს კაფე „პეკარ“-ში, ტრიბუნაზე, სადაც ჩვეულებრივ უკრავს ორკესტრი, ავიდა ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი უცნობი. წარმოსთქვა სიტყვა და მოუწოდა იქ მყოფთ ებრაელების წინააღმდეგ სამოქმედოდ. ხალხმა მოითხოვა კაფეს პატრონისაგან იმ კაცის დაჭერა და კომისარიატში გაგზავნა, მაგრამ მან უარი განაცხადა.

მაშინ მოწვეულ მილიციელების დახმარებით თვით პატრონი იქნა გაგზავნილი კომისარიატში. კაფეში მყოფმა პირებმა დაამოწმეს, რომ პატრონი საპოგრომო აგიტაციას თანაგრძნობით ეპყრობა.

გადაწყდა კაფე „პეკარ“-ს ბოიკოტი გამოუცხადონ.

### სარწმუნოება და სამხედრო ბეგარა.

სამხედრო კომისიამ პეტროგრადში დაადგინა, რომ სარწმუნოებრივ მოსაზრებით სამხედრო სამსახურზე უარის თქმა ყურადსაღები არის და უარის მთქმელი პირი სასჯელისაგან განთავისუფლებულ უნდა იქნეს.

## უ ც ხ ო ე თ ი.

### სურსათ-სანოვაგის კითხვა ინგლისში.

სურსათ-სანოვაგის საქმეთა მთავარმა გამგემ კენედი ჯონსმა ედინბურგს წარმოთქმულ სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ უფრო და უფრო ვუმკლავდებით წყალქვეშა ომის მიერ გამოწვეულ საფრთხეს. ჩვენი დანაკლისი თანდათან მცირდება, ჩვენმა გონება-მახვილობამ, საადმირალოს მიზან-შეწონილმა მოქმედებამ, ჩვენი მეზღვაურების ცადნამა და მხნეობამ და ბრძოლის წარმოების ახალმა საშუალებებმა შეგვაძლებინეს გერმანეთის წყალ-ქვეშათა მთავარ სადგურებზე იერიში მიგვეტანა კარგის შედეგებით. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მომავალშიც ასეთივე შედეგით ვიმოქმედებთ, და გერმანეთი რამდენიმე თვის შემდეგ იძულებული იქნება აღიაროს, რომ იგი ვერ შესძლებს დიდი ბრიტანეთის დამშევას ამ ომში გამარჯვების მოსაპოებლად.

მე წინააღმდეგი ვარ სავალდებულო კერძის შემოღებისა, რადგან ეს ზომა საზარალოა და სანოვაგის უთანასწორო განაწილებას იწვევს. ჩვენში სავალდებულო კერძის შემოღებას მოჰყვება ის, რომ სოფლელს საკმაოდ ექნება სასმელ-საჭმელი, ქალაქის მცხოვრებთა უღარიბესი კლასები კი იძულებული იქნებიან კერძს დასჯერდენ, როგორც ეს გერმანეთში ხდება.

რაც შეეხება სურსათ-სანოვაგის რაოდენობას, ამ მხრივ ჩვენ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ, ვიდრე რამოდენიმე კვირის წინედ ვიყავით“.

### ცხარე დებატები გერმანეთის რეიხსტაგში.

საბიუჯეტო დებატების დროს პროგრესისტებისა, ცენტრისა და ნაციონალ-ლიბერალების წარმომადგენლებმა კონსტიტუციის რეფორმები მოითხოვეს. ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა დამოუკიდებელმა სოც.-დემ—მა ჰააზემ. „ხალხს დაპირებანი მოსწყინდათ—სთქვა მან. — საქმით ყველაფერი ძველებურად რჩება. დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიას ყოველის საშუალებით სდევნიან. ამ ჟამად ცენტრალი იმპერიები რეაქციის ცენტრს წარმოადგენენ. გასაკვირველი არ არის, თუ მთელი ქვეყანა ისე გვიყურებს, როგორც წინედ რუსეთის ცარიზმს უყურებდათ“.

ჰააზე მკაცრ კრიტიკას უკეთებს სარეფორმო კომისიას, რომელმაც დასტური მისცა წინადადებას, რომ საგარეო საქმეთა კითხვების გარჩევა რეიხსტაგის დახურულ სხდომებზე სწარმოებდეს. „დამაჩასიათებელია, რომ ეს დადგენილება გამოგვაქვს იმ დროს, როცა ყველგან ფარულ დიპლომატიის გაუქმებას მოითხოვენ“.

### ჰინდენბურგი ომის მიზნების შესახებ.

გერმანეთის პატრიოტი მუშები ჰინდენბურგს შეეკითხნენ ომის მიზნების შესახებ. ჰინდენბურგმა სთქვა: „ჩვენი მიზნები ომში შეფარდებული იქნება ომისთვის გწეულ მსხვერპლთან. ჩვენი იმპერატორის სიტყვა ამის თავდებიაო“.

### პროფესორ როსის რუსეთში გამგზავრება.

ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა საუკეთესო მცოდნე, როგორც ამერიკაში, ისე სხვა ქვეყნებშიც, პროფ. როსი მიემგზავრება რუსეთში, როგორც სპეციალური წარმომადგენელი ამერიკის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტისა. მიზანი მისი რუსეთში გამგზავრებისა არის რუსეთის რევოლუციის ყოველმხრივად შესწავლა, მისი ძალისა, ტენდენციისა და შესაძლო მომავლისა.

### ინგლისის სოციალისტი ომისა და ზავის მიზნებზე.

„ბირჟ. ვედ.“ კორესპონდენტს მოუხდენია ანკეტა ინგლისის საზოგადო მოღვაწეთა აზრისა ომისა და ზავის კითხვებზე. ნიმუშად მოვიყვანთ გამოჩენილ მწერალ-სოციალისტის ჰერბერტ. უელსის ნათქვამს: „მე ინგლისელი ვარ და თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ჩემს თანამემამულეთ კარგად ვიცნობ. ინგლისელის სიტყვას გაძლევთ, რომ არ არის ისეთი მთავრობა ან ძალა, რომელსაც შეეძლოს გაიძულოს სეპარატიული ზავის ჩამოგდება მანამ, სანამ შემდეგი ომის მიზნები სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნება:

1. ბელგეთის განთავისუფლება და მისი გერმანეთის ხარჯზე აღორძინება.
2. გერმანელთაგან ყველა იმ ფრანგულ ტერიტორიის განწმენდა და დაცლა, რომელიც მათ უკავიათ. ამ ტერიტორიაში 1871 წელს წართმეული ადგილებიც შედის.
3. იტალიეთთან შეერთება ტრიესტისა და ტრენტინოსი.
4. პოლონეთის განთავისუფლება; იგულისხმება აგრეთვე განთავისუფლება პოზნანისა და გალიციის პოლონელებისა.
5. მთელი სერბეთისა და სერბელ ხალხის განთავისუფლება.
6. რუმინეთის გაწმენდა და აღდგენა.
7. სომხეთის, არაბეთისა და პალესტინის ოსმალთა კლანჭებისაგან განთავისუფლება.
8. გერმანეთის უარი იმპერიალისტურ დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებაზე.
9, რუსეთის უზრუნველ ყოფა, ხმელთაშუა ზღვაში თავისუფლად გასვლით. ამას ისიც უნდა დაუმატო, რომ ინგლისის. ხალხიცა და მთავრობაც ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ავსტრიაში ჩაგრულ ჩეხ-სლოვაკთ, თუ კი ისინი ეროვნულ ავტონომიისაკენ მისწრაფებას გამოიჩენენ.

მთელი ბრიტანეთის ერი იზიარებს ამე რიკის მისწრაფებას ხალხთა ლიგის შესაქმნელად. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ლიგაში განთავისუფლებული გერმანელი ხალხიც შევა ამ ლიგამ უნდა შექმნას საერთაშორისო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა მსოფლიოს კონტროლი საერთაშორისო კონფლიქტების მოსაგვარებლად. უნდა უზრუნველ იქნეს გემთა მიმოსვლა, განსაკუთრებით კი ვაჭრობაში მშვიდობიანი მეტოქეობა.

ამ მიზნებისათვის იბრძვის დიდი ბრიტანეთის ერი, ფრანგები და იტალიელები. ჩვენ ვებრძვით გერმანელ მილიტარისტებს, რათა შემდეგი ომი შეუძლებელი გახდეს.“

### მოკავშირეთა სოციალისტების კონფერენცია პეტროგრადში.

მოკლე ხანში პეტროგრადში თავს მოიყრიან ყველა მოკავშირეთა დემოკრატიის წარმომადგენელნი და აქ შესდგება მოკავშირეთა სოციალისტების კონფერენცია მიზანი ამ კონფერენციისა იქნება ერთსულოვანების დამყარება მოკავშირეთა ყველა სოციალისტებს შორის ომისა და ზავის სადავო კითხვების შესახებ.

### პარლამენტის გახსნა იასში.

იასის, ეროვნულ თეატრის შენობაში ბრატიანუმ 6 მაისს პარლამენტის სხდომა გახსნა. მთავრობის დეკლარაციაში ბრატიანუმ მოუწოდა დეპუტატებს საჩქაროდ შეუდგნენ საყოველთაო არჩევნების უფლების პრინციპიალად განხილვისა და კერძო მესაკუთრეთა მიწების ძალდატანებითი ჩამორთმევის კითხვებს. პარლამენტის გახსნის წინა დღეს მცხოვრებლებს აცნობეს, რომ ეს სესია კაბინეთისაგან წამოყენებულ რუმინეთის კონსტიტუციის ძირითად რეფორმის საკითხების შემუშავებას შეუდგება.

### სამხედრო ბეგარა კანადაში.

კანადის პრემიერ მინისტრმა განაცხადა პარლამენტში, რომ ქვეყნის პარლამენტს განსახილველად დაუყოვნებლივ წარუდგენენ კანადაში საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღების კითხვას.

### ჩინეთის პარლამენტი და ომი გერმანეთთან.

ჩინეთის პარლამენტმა განიხილა გერმანეთთან ომის გამოცხადების ბილლი და დაადგინა, რომ ომი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოუცხადდება გერმანეთს, თუ პრემიერ მინისტრი ჩინეთისა გადადგება სამსახურიდან.

რედაქტორ გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია.**

## ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი**
**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.

## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 8 ს. | წ. |
| „ | საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | დილით | 12 ს. 40 | „ |
| „ | ღამის | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 26 | “ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | დილის | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 11 ს. | „ |
| „ | ღამის | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | დილის | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | დილით | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | დილის | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | დღით | 5 ს. 20 | „ |

## რუსეთის დიდი რევოლუციის სახსოვრად

ყოველ თავისუფალ მოქალაქის ბინაზე, განურჩეველად ეროვნებისა და სარწმუნოებისა უნდა მოიპოვებოდეს 11 ახალი მთავრობის სახალხო მინისტრების სურათები

1) მანეთად და 75 კაპ. გაეგზავნებათ 11 მინისტრთაგან შემდგარი ჯგუფის სურათი (დიდი ფორმატის) 2) მ. 75 კაპ. 6 დიდი პორტრეტი: როძიანკოსი, ლვოვის, გუჩკოვისა, კერენსკის და ჩხეიძის—ამასთანავე [illegible] რევოლუციის დიდედის ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას სურათი, 3) 5 მ. 50 კაპ. მიიღებთ ორ სხვადასხვა წიგნს: ა) „გრიშკა რასპუტინი“. ბ) რომანოვთა სახლის საიდუმლოებანი. 4) სამარცხვინო გამჟღავნება [illegible] ბულია შემდეგი სურათები: 1) გრაფინა ალპატიესა ეხვევა რასპუტინს, 2) ქალბატონი ... რასპუტინი, 3) რასპუტინი უმაღლეს წრეე?ის პატიოსან ქალებში, 4) რასპუტინის მოკვლა თ... ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით Издательство „Бюро Печати“ Москва, Тихвинский пер., № 7 кв. 21—Д.

ვინც წინათვე სულ მთლად წიგნების ფას გამოგზავნის იგი გაგზავნის ხარჯს არ იხდის. ფასი შეიძლება გამოგზავნილ იქნეს ... თაც შეკვეთილი წერილითა, უბეოთ არავის არ ეგზავნება ზემოხსენებული წიგნები და პორტრეტები ... და გზის ხარჯით ფირმაზე ვინც გამოგზავნის წინათვე 9 მან. 75 კაპ. ვინც 25 ცალზე ნაკლებს ... პროცენტის დაკლებით. შეკვეთა და ფულის გაგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: Москва Бюро Печати Тихвинский пер. № 7 кв. 21

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში